

შემასმენლის ერთი სახეობის გამოყენების საკითხები
თანამედროვე ქართული კრეისის ენაში

საგნის მოქმედების ან მდგომარეობის გამოსახატავად გარდა მარტივი და ე. წ. შედგენილი შემასმენლისა ენებში, კერძოდ, ქართულშიც, არც თუ იშვიათად გამოიყენება ფრაზეოლოგიური თუ მყარი გამონათქვამები, რომლებიც დანაწევრებულად აღნიშნავენ ერთიან ცნებას და რომელთა შეცვლაც შემთხვევათა დიდ უმრავლესობაში შეიძლება ერთი ზმნით.

აღწერითად წარმოებული შემასმენელი დღეს მრავლადაა ენაში. ასეთებია: დახმარება აღმოუჩინა, რჩევა მისცა, ინტერესი გამოიჩინა, ბრძოლას აწარმოებს, ზრდა მიმდინარეობს, მონაწილეობას იღებს და სხვა, რომელთაგან თითოეულს მოეპოვება შესატყვისი ზმნა და რიგ შემთხვევაში ისინი თავისუფლად შეენაცვლებიან ერთმანეთს; დახმარება აღმოუჩინა — დაეხმარა, რჩევა მისცა — ურჩია, ინტერესი გამოიჩინა — დაინტერესდა, ბრძოლას აწარმოებს — იბრძვის, ზრდა მიმდინარეობს — იზრდება, მონაწილეობას იღებს — მონაწილეობს¹.

დასახელებულ კონსტრუქციას მხოლოდ ბოლო დროს მიექცა ყურადღება და მას სპეციალური გამოკვლევებიც მიეძღვნა რუსულ და ევროპულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში; აღნიშნულია, რომ ჯერ კიდევ ფ. ი. ბუსლაევმა გამოყო შემთხვევები, როცა ერთი ზმნის ნაცვლად იხმარება ზმნა სახელთან ერთად, რომელიც დამატების როლში გამოდის². უფრო მოგვიანებით, „შესიტყვებებს, რომლებიც წარმოადგენენ მარტივი ზმნების პერიფრაზს“ ყურადღება მიაქცია შ. ბალიმ, რომელიც მათ თვლიდა გარდამავალ, შუამავალ საფეხურად ფრა-

¹ ამ მოვლენას, როდესაც ერთი ზმნის ნაცვლად სახელურ-ზმნური შესიტყვება გამოყენებული, დ. ე. როზენტალი შემასმენლის გახლეჩას (расщепление сказуемого) უწოდებს. იხილე მისი: Практическая стилистика русского языка, М., 1965, გვ. 192.

² Историческая грамматика русского языка, М., 1959, გვ. 509.

ზეოლოგიურ ჯგუფებსა და აბსოლუტურ ერთეულებს შორის³. შემდეგ ასეთი ფორმების შესახებ არაერთი მკვლევრის მსჯელობას ვხვდებით, რომელთაგან ზოგი მათ უწოდებს ლექსიკურ ერთეულებს (მ. დ. გოროდნიკოვა, მ. პ. ზემლინა), ზოგი ფრაზეოლოგიურ ზმნურ შესიტყვებებს (ა. ვ. კუმაჩევა, ლ. ფ. სტროილოვი), ზოგი მნიშვნელობით შერწყმულ სიტყვათშეერთებებს (ე. ა. ივანოვა), ზოგი მყარ ზმნურ-სახელურ შენაერთებს (ვ. ვ. როზანოვა) და ა. შ.

ამ რიგის სახელურ-ზმნური შესიტყვებები ძველთაგანვე არსებობდა როგორც სხვა ენებში, ისე ქართულშიც; უძველეს ქართულშიც კი ორგანული ზმნების გვერდით დასტურდება მათი შესატყვისი აღწერითი გამოთქმები, როგორცაა: სათნო-უჩინს, ნუგეშინის-სცემდა, ნათელ-გცემ, სწორ-ჰყვენ, ზიარ-იქმნა, გრძელ-ყვიან, ზრახვა-ყვეს, მზა-ყვენ და ა. შ.⁴ მაგრამ, თუ ენის განვითარების ადრეულ ეტაპზე მათი რიცხვი შედარებით მცირე იყო, მომდევნო ეპოქებში, როდესაც საზოგადოების განვითარებასთან ერთად განვითარდა ენაც და საჭირო გახდა მეტი გამომხატველობისათვის ახალი ენობრივი რესურსების ძებნა, განსაკუთრებით ლექსიკის სფეროში, მათმა რიცხვმაც საკმაოდ იმატა. აღწერითი ფორმების გაჩენა დღესაც ჩვეულებრივი პროცესია ენაში. „ფუნქციონალურად ახლოს მყოფი, მაგრამ არაერთგვარი სიტყვები და სინტაქსური კონსტრუქციები წარმოადგენენ მთელი რიგი ეპოქების განმავლობაში შექმნილ საერთო სახალხო ენის გამომხატველობით საშუალებათა ძვირფას არსენალს“⁵.

თვლიან, რომ უმრავლეს შემთხვევაში მყარი შესიტყვებები ზმნებთან შედარებით მეორეულნი არიან და წარმოადგენენ თითქოსდა ზმნის გახლეჩას, თუმცა დასაშვებია პირუკუ მოგლენაც, როდესაც შესიტყვება პირველადია და ზმნა მისი შეკუმშული ფორმაა, როგორცაა: ვალდებულება აიღო და ივალდებულა, თვალსაჩინოს გავხდით და გავათვალსაჩინოებთ და ა. შ. ზოგჯერ კი შესიტყვება და ზმნა „წარმოიქმნებიან და არსებობენ პარალელურად და დამოუკიდებლად და მხოლოდ გვიან ჩვენს ენობრივ შეგნებაში ერთიანდებიან როგორც შესატყვისები“⁶. ამდენად, ასეთ პირობებში ხშირად ჭირს ზმნისა თუ შე-

³ Французская стилистика, М., 1961, გვ. 94.

⁴ ამის შესახებ იხილეთ: ივ. ქავთარაძე, ზმნის აღწერითი ფორმების ორგანული შეცვლის ისტორიიდან ქართულში: ივე, ტ. XIV, 1964, გვ. 161—175.

⁵ В. П. Сухотин, Синтаксическая синонимика в современном русском литературном языке, М., 1960, გვ. 4.

⁶ В. В. Розанова, Синонимия устойчивых глагольно-именных сочетаний в современном русском языке: Очерки по синонимике современного русского литературного языка, М.—Л., 1966, გვ. 56.

სიტყვების ისტორიული პირველადობის დადგენა. ამასთან, ცხადია, რომ აღწერითი ფორმები წარმოიშვა არა როგორც ლექსიკური დუბლეტები შესატყვისი მარტივი ზმნებისა, არამედ როგორც ერთ-ერთი ხერხი, საშუალება მოქმედების, მდგომარეობისა თუ პროცესის აღნიშვნისა.

მყარი სახელურ-ზმნური შესიტყვებები გარეგნულად, ფორმობრივად არაფრით არ განსხვავდებიან მათი მსგავსი თავისუფალი სიტყვათშეერთებებისგან; დაპირებას აძლევს და ცნობას აძლევს, დათმობაზე წავიდა და სკოლაში წავიდა, გადაწყვეტილება მიიღო და წერილი მიიღო და სხვ. სინტაგმებში სახელისა და ზმნის ერთნაირი დაკავშირება გვაქვს, მაგრამ წინადადებაში, თუ თავისუფალი სიტყვათშეერთება განიხილება როგორც შემასმენელი და დამატება თუ გარემოება, მყარი შესიტყვება, რომელშიც ფორმით აგრეთვე დამატება ან გარემოება გვაქვს, გამოდის როგორც შემასმენელი, რადგან მასში შემავალ სახელს აღარა აქვს ის დამოუკიდებელი მნიშვნელობა, რაც თავისუფალ სიტყვათშეერთებაში ჰქონდა და იგი ზმნასთან ერთად სულ სხვა — სემანტიკურად მთლიან ერთეულს ქმნის. ასეთი სემანტიკური მთლიანობის გამო მყარი სახელურ-ზმნური შესიტყვებები ფრაზეოლოგიურ ერთეულებს ჰგვანან, მაგრამ განსხვავდებიან მათგან იმით, რომ მათ „არ გააჩნიათ ის, რასაც, ჩვეულებრივ, უწოდებენ იდიომატიურობას, დებენ რა ამ ცნებაში ვადააზრებას, მეტაფორულ სახეობასა და მნიშვნელობის არამოტივირებას“⁷.

მართალია, არც თუ იშვიათად ენაში არის შემთხვევები, როდესაც თავისუფალ სიტყვათშეხამებასაც აქვს შესატყვისი ერთფუძიანი ზმნა და თითქოს გარკვეული მყარობაც ახასიათებს, მაგალითად: ტყუილს ამბობს — ტყუის, ბუენი ჩაუდო — დაუბუენა, ფასი დაკარგა — გაუფასურდა, ძალა დაკარგა — დაუძლურდა, ახფალტი დააგო — მოაახფალტა და სხვ., მაგრამ ისინი არ შეიძლება მივიჩნიოთ მყარ სახელურ-ზმნურ შესიტყვებებად, რადგან მასში შემავალი სიტყვები ინარჩუნებენ დამოუკიდებლობასა და თავის ძირითად ლექსიკურ მნიშვნელობას.

როგორც ითქვა, სახელურ-ზმნური შესიტყვებები, თავისუფალი სიტყვათშეხამებებისაგან განსხვავებით, მყარი შესიტყვებებია და ისინი, ისევე, როგორც სხვა ფრაზეოლოგიზმები, მზა სახით არსებობენ ენაში, მაგრამ მათ მყარობას განასხვავებენ ფრაზეოლოგიზმთა მყარობისაგან; სახელდობრ, თუ ამ უკანასკნელში იგულისხმება მთელი ერთეულის მზა სახით არსებობა, სახელურ-ზმნურ შესიტყვებებში ხშირ

⁷ В. В. Розанова, დასახელბული ნაშრომი, გვ 51.

შემთხვევაში იგი გაგებულია როგორც მოდელის შექმნა, რომელშიც ზმნა რჩება მუდმივად (ზოგი სინონიმური შენაცვლებით), ხოლო სახელი ცვალებადია. მაგალითად: **აძლევს** — ბრძანებას, დაპირებას, ნებართვას, თანხმობას, რჩევას, მითითებას..., **იღებს** — მონაწილეობას, შთაბეჭდილებას, ზიარებას, ზომებს..., **წარმოებს** — ხვნა, თესვა, დაწერვა, დაცვა, ანგარიში, საუბარი, აღრიცხვა და სხვა მრავალი. ასეთი განსაზღვრული მოდელის არსებობა იძლევა საშუალებას ენაში შეიქმნას მრავალი ახალი მყარი სახელურ-ზმნური შესიტყვება, რომლებშიც სულ სხვადასხვა ზმნური თუ სახელური კომპონენტები იქნება გამოყენებული. ამასთან, სწორედ „ეს თავისებურება — სტრუქტურული მოდელის წარმოქმნა — გამოყოფს ამ შესიტყვებებს სხვა ფრაზეოლოგიური ერთეულების მასისაგან, რომელთაც ინდივიდუალური მყარობა ახასიათებთ“⁸.

მეორე მხრივ, მიუხედავად ასეთი სტრუქტურული, განზოგადებული ხასიათის მოდელის ქონებისა, მყარ სახელურ-ზმნურ შესიტყვებებში მაინც იგრძნობა გარკვეული ფრაზეოლოგიური დამოკიდებულება, რაც თავის მხრივ განასხვავებს მათ სინტაქსურად დაკავშირებული ისეთი გრამატიზებული ფორმებისაგან, როგორიცაა მაგალითად შედგენილი შემასმენელი.

ამდენად, მყარ შესიტყვებებს თვლიან ლექსიკურ-გრამატიკულ ფრაზეოლოგიად, ანუ შესიტყვებად, რომელსაც უჭირავს საშუალო ადგილი ფრაზეოლოგიასა და გრამატიკას შორის.

მყარი სახელურ-ზმნური შესიტყვების გრამატიკულ ცენტრს ზმნური კომპონენტი წარმოადგენს. მისი მეშვეობით გამოიხატება ზმნისთვის დამახასიათებელი გრამატიკული კატეგორიები: გვარი, ასპექტი, კილო, დრო, პირი, რიცხვი და სხვა (ამ მხრივ იგი შედგენილი შემასმენლის მეშველ ზმნას ჰგავს), მაგრამ ამავე დროს სემანტიკურად იგი მნიშვნელოვან ცვლილებას განიცდის, სახელდობრ, სუსტდება ან სრულიად იკარგება მისი ძირითადი მნიშვნელობა და იგი დამხმარე როლში გამოდის, უკავშირდება სახელური კომპონენტის მნიშვნელობას. „ზმნის ლექსიკური შესუსტება და მისი აბსტრაპირება, რომელიც დაკავშირებულია შესიტყვების შესაძლებლობათა გაფართოებასთან, წარმოადგენს ხანგრძლივი და რთული ევოლუციის შედეგს და თან მყარ სახელურ-ზმნურ შესიტყვებათა წარმოშობის ძირითად პირობას“⁹.

ზოგჯერ ზმნური კომპონენტი თავისი ძირითადი მნიშვნელობის დაკარგვის შემდეგ გადატანითს მნიშვნელობას იღებს. მაგალითად:

⁸ В. В. Розанова, დასახელებული ნაშრომი, გვ. 51.

⁹ იქვე, გვ. 50.

ვალში ჩავარდა — ივალა, იმედი მისცა — დაიმედა, სურვილით იწვის — სურს, ნათელი მოჰფინა — გაანათა, ქება შეასხა — შეაქო, დარდში ჩავარდა — დადარდიანდა და ა. შ.

შესიტყვებაში შემავალი სახელური კომპონენტი გამონათქვამის სემანტიკური ცენტრია, თუმცა იგი სინტაქსურად დამოკიდებულია შესიტყვების ზმნაზე. სახელის მნიშვნელობა, დაკავშირებული ზმნით გამოხატულ კატეგორიებთან, ქმნის მყარი სახელურ-ზმნური შესიტყვების აზრს. რომ სწორედ სახელის მნიშვნელობაა ამოსავალი გამონათქვამით გამოხატული მოქმედების დახასიათებისას მოწმობს ის, რომ ერთსა და იმავე სახელურ კომპონენტთან ზმნათა შენაცვლება არ გამოიწვევს შესიტყვების მნიშვნელობის ცვლას, მაშინ, როდესაც ერთი და იგივე ზმნა სხვადასხვა სიტყვასთან სულ სხვადასხვა მნიშვნელობის მატარებელია: დაპირებას აძლევს = ჰპირდება, ბრძანებას აძლევს = უბრძანებს, თანხმობას აძლევს = თანხმდება, რჩევას აძლევს = ურჩევს, მითითებას აძლევს = მიუთითებს, ხოლო მუშაობა წარმოებს, მუშაობა მიმდინარეობს, მუშაობა ტარდება = მუშაობენ.

სახელის ძირითად სემანტიკურ ფუნქციაზე მეტყველებს ისიც, რომ გამონათქვამის შესატყვისი ზმნის ძირი, ჩვეულებრივ, იგივეა, რაც სახელისა: რჩევას აძლევს — ურჩევს; ბრძოლას აწარმოებს — იბრძვის...

მყარ სახელურ-ზმნურ შესიტყვებაში შემავალი როგორც ზმნების, ისე სახელების რაოდენობა საკმაოდ დიდია, მაგრამ სემანტიკურად, როგორც ერთი, ისე მეორე რამდენადმე განსაზღვრულია. ზმნებად, უმეტესად, გამოყენებულია ისეთები, რომელთაც მეტად ფართო სემანტიკური მოცულობა და ზოგადი მნიშვნელობა აქვთ, როგორცაა: მიცემა, გაკეთება, აღება, წარმოება, ჩადენა, ჩატარება, განხორციელება, მიმდინარეობა, მოხდენა, მოწყობა და სხვა. სახელების როლში კი გამოდიან, უპირველეს ყოვლისა, ნაზმნარი სახელები, რომელთაც აქვთ ეტიმოლოგიურად მონათესავე ზმნები, აგრეთვე, მოქმედების გამომხატველი, მნიშვნელობით მათთან ახლოს მდგომი სახელები და ზოგი სხვა განყენებული სახელი.

მეორე მხრივ, რადგან სახელურ-ზმნური შესიტყვებები მყარია, განსაზღვრულია თითოეულ მათგანში შემავალი სიტყვებიც. ჩვეულებრივ, გარკვეული ზმნები გარკვეულ სახელებს უკავშირდებიან და ხშირ შემთხვევაში ერთსა და იმავე სახელთან თვით სინონიმური ზმნებიც კი ვერ ქმნიან შესიტყვებას. იმის გარკვევა, თუ რომელ სახელებთან შექმნის შესიტყვებას ესა თუ ის ზმნა, მეტად ძნელია, რადგან კავშირი სახელსა და ზმნას შორის ხშირად განპირობებულია ზმნებისა თუ

სახელების „მთელი რიგი შინაგანი ჯერ კიდევ ბოლომდე გამოუვლენელი თვისებებით“¹⁰.

აღნიშნულია, რომ მიუხედავად ზმნური კომპონენტის ლექსიკური შესუსტებისა, მათში მაინც შემორჩენილია ზოგი ნიშანი მათი პირველადი მნიშვნელობისა, რომელიც ვაგლენას ახდენს ამა თუ იმ სახელთან მისი შეერთების შესაძლებლობაზე. ხშირ შემთხვევაში იგივე ითქმის სინონიმურ ზმნებზეც კი. მაგალითად ასახელებენ ზმნებს: ჩადენა და ვაკეთება¹¹. პირველს, ჩვეულებრივ, უკავშირდება სახელები, რომლებიც აღნიშნავენ ისეთ მოქმედებას, რომელიც ჩვეულებრივის ფარგლებიდან გამოდის: ქურდობის, ავაჯაკობის, ბანდიტობის, მკვლელობის... ჩადენა, მათ ვაკეთება არ შეეფერება და, თუ ზოგჯერ ეს ზმნები ერთსა და იმავე სახელთანაა გამოყენებული, მაშინაც ყოველთვის რჩება ამ ზმნათათვის დამახასიათებელი სემანტიკური და სტილისტიკური სხვაობა. (შდრ. შეცდომა ვაკეთა (დაუშვა) და შეცდომა ჩაიდინა). ჩადენა ზმნასთან შესიტყვებათა მოქმედების მასშტაბი უფრო ფართოა, მნიშვნელოვანი, ვაკეთება კი ყოველდღიურ. ჩვეულებრივ მოქმედებას აღნიშნავს.

ამდენად, ამა თუ იმ შესიტყვების გამოყენებისას უნდა გათვალისწინებულ იქნეს მასში შემავალ სიტყვათა დაკავშირების შესაძლებლობა და არ შეიძლება ისინი თავისუფლად იცვლებოდეს მოლაპარაკის ნება-სურვილის მიხედვით. წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე გვექნება სტილისტიკურ დარღვევებთან.

როგორც ითქვა, მყარი სახელურ-ზმნური შესიტყვებების დიდ უმრავლესობას აქვს შესატყვისი ზმნა. მაშ რაღად არსებობენ ისინი ენაში, ან როგორია მათი და ამ ზმნების გამოყენების სფერო?

აქვე უნდა ითქვას, რომ შინაარსობრივი სიახლოვე, რომელიც მყარ შესიტყვებასა და ზმნას შორის არის, სულაც არ ნიშნავს იდენტურობას და, ჩვეულებრივ, შემთხვევათა დიდ უმრავლესობაში მათი მნიშვნელობების შედარებისას გამოვლინდება საგრძნობი სემანტიკური სხვაობა იქამდეც კი, რომ ზოგჯერ აღარც შეიძლება მათ სიახლოვეზე ლაპარაკი; მაგალითად: ნება მისცა, ნება დართო და დანება, ჯიბრში ჩაუდგა და გაეჯიბრა, მიზეზს ეძებს და მიზეზობს და სხვა; ხოლო, თუ მათ განვიხილავთ როგორც სინონიმებს, მაშინაც, ისევე, როგორც საერთოდ სინონიმურ სიტყვებში, ერთმანეთს დაემთხვევა მათი მხოლოდ ცალკეული მნიშვნელობები.

თვლიან, რომ, როგორც წესი, ზმნის მნიშვნელობა უფრო ფარ-

¹⁰ В. В. Розанова, დასახელებული ნაშრომი, გვ. 62.

¹¹ იქვე.

თოა, ვიდრე შესიტყვებისა (თუმცა არსებობს გამონაკლისიც). შესიტყვება უმეტესად შეესაბამება ზმნის რომელიმე ერთ მნიშვნელობას, აკონკრეტებს, გამოყოფს, წარმოაჩენს ზმნის მნიშვნელობას რომელიმე მხარეს და ეს ნიუანსი ხშირად უპირატესობას აძლევს მას გამოყენებისას. მაგალითად, აშკარად განსხვავდება ისეთი სახელურ-ზმნური შესიტყვებები და მათი შესატყვისი ზმნები, როგორიცაა: **პასუხი გაცა** (მტერს) და **უპასუხა** (მასწავლებელს), **აღმოჩენა** გააკეთა (მეცნიერებაში) და **აღმოაჩინა** (განძი, სამარხი), **სისრულეში** მოიყვანა (განაჩენი, გადაწყვეტილება) და **შეასრულა** (თხოვნა, სურვილი), **ჩვენება** მისცა (სასამართლოში) და **უჩვენა** (სურათი, წიგნი), **აღწერა** ჩაატარა (მოსახლეობაში) და **აღწერა** (სურათი) და ა. შ.

ამდენად, სახელურ-ზმნური შესიტყვებები იძლევიან მოქმედების უფრო გარკვეულ და განსაზღვრულ დახასიათებას და ხშირად, თუ ზმნის ხმარების დროს საჭირო ხდება კონტექსტის გათვალისწინება, აღწერითი ფორმები, ერთი მნიშვნელობის ქონების გამო, გამორიცხავენ ფრაზის ორაზროვნად გაგებას. ამასთან, აღწერილ ანალიზურ ფორმებში უფრო მეტადაა შესაძლებელი სხვადასხვა სახის ცვლილებები, კომპონენტთა სინონიმური შენაცვლება, მეტყველების ერთი ნაწილის მეორედ გარდაქმნა, კომპონენტთა გადაადგილება და სხვ. ჩანს, ყველა ეს ფაქტორი განსაზღვრავს აღწერითი ფორმების ფართო და ხშირ ხმარებას სამეცნიერო ლიტერატურაში, პუბლიცისტიკასა და ოფიციალურ დოკუმენტებში.

ხშირად აღწერით ფორმებს უპირატესობა ეძლევა შესატყვის ზმნებთან შედარებით იმის გამოც, რომ მყარ გამონათქვამებში არის შესაძლებლობა სახელის მრავლობით რიცხვში ხმარებისა. **დაკვირვებებს** აკეთებს, **გაზომვებს** აწარმოებს, **წერებს** ატარებს, **ბრძანებებს**, **დაპირებებს**, **განმარტებებს...** აძლევს და სხვ. შესიტყვებაში სახელის რიცხვის უბრალო ცვლა კი არ ხდება, არამედ იგი „კარგავს თავის განყენებულ ხასიათს და მოქმედებას აღნიშნავს არა აბსტრაქტული სახით, არამედ მის შედეგს, შინაარსს და არსს“¹².

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ენაში არსებობს გარკვეული რაოდენობის ისეთი მყარი სახელურ-ზმნური შესიტყვებებიც, რომელთაც არა აქვთ შესატყვისი ზმნები და აღწერითი ფორმებია ერთადერთი საშუალება ამა თუ იმ მოქმედების, მდგომარეობისა თუ პროცესის დასახასიათებლად. ასეთ შემთხვევებში ორი რიგის მოვლენა შეინიშნება:

1. როდესაც შესიტყვების სახელური კომპონენტი არაა რომელიმე ზმნისგან წარმოშობილი და თვითონაც არ წარმოადგენს ბაზას ზმნის

¹² В. В. Розанова, დასახელბული ნაშრომი, გვ. 60.

წარმოსაქმნელად, რომელიც სინონიმური იქნებოდა მისი. მაგალითად, გვაქვს ბრძანებას აძლევს — უბრძანებს, მაგრამ მხოლოდ — განკარგულებას აძლევს; ასევე, — დაპირებას აძლევს — ჰპირდება და უცალო — სიტყვას აძლევს; ქებას ასხამს — აქებს და — ხოტბას ასხამს. ასეთივეა: ფიცი გატეხა, მოთმინება დაკარგა, შთაბეჭდილება მიიღო, ზომები მიიღო, ყურადღება მიაქცია და მრავალი სხვა.

2. როდესაც სახელურ-ზმნური გამოთქმის შესატყვის ზმნას აკლია რომელიმე კატეგორიის (ძირითადად, ასპექტის, ნაკეთის) ესა თუ ის ფორმა; მაგალითად, გვაქვს წყვილი: მონაწილეობას იღებს — მონაწილეობს, მაგრამ მხოლოდ — მონაწილეობა მიიღო. ასევე უცალოა: წარმოებს გამოთბება, შეკეთება; ხდება მიზიდვა; მიმდინარეობს მიყიდვა, გამოკვება; აწარმოებს მიწერ-მოწერას და სხვა.

სახელურ-ზმნური შესიტყვების მნიშვნელოვანი უპირატესობა არის ისიც, რომ მასში შემავალ სახელად კომპონენტს შეიძლება დაერთოს განსაზღვრება, რის გამოც გამონათქვამი უფრო ზუსტად, სრულყოფილად, მრავალმხრივ ახასიათებს მოქმედებას, ზმნა კი ზოგჯერ მოკლებულია ამ საშუალებას თუნდაც ზმნისართის სახით. მაგალითად: ტარდება უდიდესი მუშაობა, მიიღო გმირული გადაწყვეტილება, აძლევს შეუსრულებელ დაპირებას, გააკეთა მნიშვნელოვანი აღმოჩენა, იღებს მხურვალე მონაწილეობას, მისცა რამდენიმე ბრძანება, აწარმოვა გადამწყვეტი ბრძოლა და სხვ. ისეთი წინადადებებია, რომლებშიც შესიტყვების ერთი ზმნით შეცვლა მთლიანი აზრის შენარჩუნებით გაჭირდება.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც მსაზღვრელიან სახელურ-ზმნურ შესიტყვებას აქვს შესატყვისი ზმნა, იგი ხშირად „ერთი ძირისაა არა აღწერითი გამოთქმის სახელთან, არამედ ზედსართავ სახელთან, რომელიც განმარტავს სახელურ კომპონენტს“¹³. მაგალითად: გამოუტანა გამამტყუნებელი განაჩენი — გაამტყუნა, აღმოჩნდა გაჭირვებულ მდგომარეობაში — გაუჭირდა, ეწეოდა მხიარულ ცხოვრებას — მხიარულობდა, მისცა კანონიერი ძალა — დააკანონა და ა. შ. ჩანს, ეს ხდება იმის გამო, რომ აქ, ძირითად, სემანტიკურ ფუნქციას სწორედ მსაზღვრელი ასრულებს, მასშია აღწერითი გამონათქვამის აზრობრივი ცენტრი.

აღნიშნულია აგრეთვე არსებითი სინტაქსური განსხვავება სახელურ-ზმნურ შესიტყვებასა და მათ შესატყვის ერთფუძიან ზმნებს შორის, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ზოგი ზმნა, ჩვეულებრივ,

¹³ А. П. Мордвилко, Очерки по русской фразеологии, М., 1964, 88-91.

საქიროებს მასთან მოქმედების ობიექტის აღმნიშვნელი სახელის ხმარებას მაშინ, როდესაც აღწერითი წარმოებისას შესიტყვეების ორწევრიანი სტრუქტურის გამო ამ მოქმედების გამოხატვა ხდება ობიექტის დაუსახელებლად. მაგალითად: აღმოჩენა გააკეთა და აღმოაჩინა (რალაც), საჩუქარი გაუკეთა და აჩუქა (რალაც), დავალება მისცა და დაავალა (რალაც), მკვლელობა ჩაიდინა და მოკლა (ვილაც) და „მამასადამე, აღწერითი წარმოების გამოყენება საშუალებას იძლევა ყურადღება გამახვილებულ იქნეს თვით მოქმედებასა ან მდგომარეობაზე“¹⁴.

ბოლოს, ხშირად მყარი შესიტყვეებები და მათი შესატყვისი ზმნები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან სტილისტიკური შეფერილობითაც. სახელდობრ, ბევრი სახელურ-ზმნური გამოთქმა, როგორც ზემოთაც იყო ნათქვამი, წარმოიქმნება უმთავრესად წიგნურ, სამეცნიერო, პუბლიცისტიკის ენაში და მისი ეს თავისებური სპეციფიკური სტილური ელფერი არც თუ იშვიათად განაპირობებს მის გამოყენებას მეტყველების სხვადასხვა სფეროში. მართალია, აღწერითი წარმოების ფორმების ხმარების არე თანდათან ფართოვდება და ისინი მხატვრულ ლიტერატურასა და ზეპირ ოფიციალურ მეტყველებაშიც გვხვდებიან, მაგრამ ასეთ შემთხვევებშიც ინარჩუნებენ თავის სტილისტიკურ ელფერს და აძლევენ ზეპირ თუ წერითს მეტყველებას ერთგვარი ოფიციალურობის, წიგნურობის ხასიათს.

ამდენად, მარტივი ზმნის არსებობა არ წარმოადგენს დაბრკოლებას აღწერითი ფორმების წარმოსაქმნელად. ამ უკანასკნელის ძირითადი როლი, როგორც ჩანს, მდგომარეობს იმაში, რომ „ისინი ასე თუ ისე ამდიდრებენ ენის ლექსიკურ შემადგენლობას ისეთ მნიშვნელოვან სფეროში, როგორცაა ზმნური ლექსიკა“¹⁵.

განხილულ საკითხთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ერთი გარემოება, სახელდობრ, ის, რომ ამ ბოლო დროს ქართულ სალიტერატურო ენაში მომრავლდა ისეთი მყარი სახელურ-ზმნური შესიტყვეებები, რომელთაც არავითარი გამართლება არა აქვთ და ამკარა ენობრივი წუნია. ჩვენ მხედველობაში გვაქვს სიტყვათშეხამებანი, რომლებშიც მონაწილეობს მასდარი (ან მნიშვნელობით მასთან ახლოს მდგომი სახელი) და ერთ-ერთი იმ ზმნათაგანი, როგორცაა: წარმოებს — აწარმოებს, ტარდება — ატარებს, ხდება — ახდენს, ხორციელდება — ახორციელებს, ეწყობა — აწყობს, მიმდინარეობს, ეწევა და ზოგი სხვა¹⁶.

¹⁴ А. П. Мордвилко, დასახელებული ნაშრომი, გვ. 92.

¹⁵ იქვე, გვ. 94—95.

¹⁶ ამგვარი უმართებულო წარმოების ზოგი შემთხვევა შენიშნული აქვს გ. შალაშვილის მიერ. იხ. მისი „უტყბესი და უმწარესი“, თბ., 1968, გვ. 77.

ყველა ამ ზმნას აქვს თავისი პირველადი, ნომინატიური მნიშვნელობა, რომელიც დღეს ცოცხალია და ენაში გამოყენებულიც, მაგრამ გაცილებით უფრო ხშირად ეს მნიშვნელობა მეტად შესუსტებულია, გაუფერულებულია და ზმნა დამხმარე როლში გამოდის.

დასახელებულ ზმნებს შესიტყვებებში შეხვედებით თითქმის ყველა სახელზმნასთან, ყველა ნაკვეთში და, უმეტესად, ერთსა და იმავე მასდარს სხვადასხვა ზმნასთან, რომელთაც ერთი საერთო ზმნური შესატყვისი აქვთ. ეს კიდევ ერთხელ მოწმობს ზმნური კომპონენტის სემანტიკურ გაუფასურებას. მაგალითად, გვაქვს: აწარმოებს ხვნას, თესვას, რწყვას, მკას, რემონტს, ჭრას, მარგვლას, ბრძოლას, აღებას, გაცემას, აღრიცხვას, შეწამვლას, დაცვას, გაყიდვას, რეცხვას, გაწმენდას და სხვა მრავალი. იგივე სახელზმნები სხვა შემთხვევაში უკავშირდებიან ამ რიგის სხვა ზმნებსაც: ატარებს ხვნას, თესვას, რწყვას...; აჩაღებს ხვნას, თესვას, რწყვას...; აწყობს ხვნას, თესვას, რწყვას...; მიმდინარეობს ხვნა, თესვა, რწყვა...; ეწყობა ხვნა, თესვა, რწყვა... და ა. შ.

ასეთი გამოთქმები მეტად მოგვეძალა ენაში და ბევრ შემთხვევაში შეავიწროვა ჩვეულებრივი ზმნური ფორმები, რომლებიც უფრო ბუნებრივ კონსტრუქციებს ქმნიან. აღნიშნული წარმოება გამართლებას ვერ პოულობს, ძირითადად, იმის გამო; რომ შესატყვის ზმნებთან შედარებით, მათ მნიშვნელობისა თუ სხვა მხრივ არავითარი დამატებითი თუ განმასხვავებელი ელფერი არ ახლავთ, ისინი ზმნათა ზუსტად იდენტურნი, ადეკვატურნი არიან და მხოლოდ ამძიმებენ, აუხეშებენ, კანცელარულ სახეს აძლევენ ფრაზას. ეს განსაკუთრებით ითქმის ისეთი შემთხვევების შესახებ, როდესაც შესიტყვებაში მონაწილეობს გარდამავალი ზმნა. ჩანს, გარდამავალი, აქტიური ზმნა ამ შემთხვევაში უფრო ძნელად ეგუება სემანტიკურ გაუფასურებას და განსაკუთრებით აქ იგრძნობა მარტივი და წარმოებული ზმნების იდენტურობა და ამ უკანასკნელთა კანცელარული ხასიათი. შეადარე, მაგალითად: წარმოებს ბრძოლა, ხვნა; ტარდება შერჩევა, შემოწმება; ხდება შეჭამება, დამუშავება; ხორციელდება დადგმა, გაუმჯობესება; ეწყობა გაყიდვა, გამწვანება და ა. შ. და — აწარმოებს ბრძოლას, ხვნას; ატარებს შერჩევას, შემოწმებას; ახდენს შეჭამებას, დამუშავებას; ახორციელებს დადგმას, გაუმჯობესებას; აწყობს გაყიდვას, გამწვანებას... თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ არც თუ იშვიათად გარდაუვალ ზმნებთანაც იქმნება არა ერთი და ორი შეუფერებელი შესიტყვება.

ხშირ შემთხვევაში ჩვენი ენისათვის არაბუნებრივი მყარი შესიტყვებები კალკებია (უმეტესად რუსულისა), მაგრამ ისინი ან იმ ენაშიც უხეირო გამოთქმებად ითვლებიან, საიდანაც შემოვიდნენ, ანდა არ

არის გათვალისწინებული ქართულის, განსაკუთრებით, მისი ზმნის უნარი და შესაძლებლობები, რომელიც, ბევრი სხვა ენის ზმნისაგან განსხვავებით, ხშირ შემთხვევაში დამოუკიდებლად ახასიათებს როგორც სუბიექტს, ისე ობიექტსა და მოქმედების ვითარებასაც.

უმართებულო მყარი სახელ-ზმნური შესიტყვებები განსაკუთრებით გავრცელდა პრესაში, აქედან მოგვყავს ნიმუშებიც.

წ ა რ მ ო ე ბ ს — ა წ ა რ მ ო ე ბ ს

ამ პერიოდში წ ა რ მ ო ე ბ ს ნაყოფის რბილობისა და თესლის სრული დამწიფება („სოფლ. ცხოვრ.“).

კერძების მომზადება წ ა რ მ ო ე ბ ს გამოცდილი კულინარიების ხელმძღვანელობით („თბილ.“).

რესპუბლიკის სასტუმროებში... იწ ა რ მ ო ე ბ ს თვითმფრინავის ბილეთების გაყიდვა („ახ. კომ.“).

იწ ა რ მ ო ე ბ ს კერძების გაცემა სახლში წასადებად („თბილ.“)..

ათი ტრაქტორი შეუფერხებლად აწ ა რ მ ო ე ბ ს ვაზის რიგთაშორისების ხვნას („ბახტრ.“).

ჯიშინი სიმინდის თესლის გამოყვანას სამი კოლმეურნეობა აწ ა რ მ ო ე ბ ს („გამარჯვ. გზა“).

დაჯილდოებას აწ ა რ მ ო ე ბ ს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო („კოლმ.“).

უკვე რამოდენიმე დღეა ალუ და გალინა ხაჩიძეები აწ ა რ მ ო ე ბ ე ნ თამბაქოს მოსავლის აღებას („გამარჯვ. დრ.“).

აქვე უხედაა მლაშე წყლები, საიდანაც ძველად ხელოვნურად აწ ა რ მ ო ე ბ ე ბ დ ნ ე ნ მარილის მიღებას („საქ. ბუნ.“).

აუცილებელია ტყის განახლებული უბნებიდან ხე-ტყის გამოზიდვა სატრაქტორო გზამდე ვაწ ა რ მ ო ე ბ ს... გამწვევი ძალით (იქვე)...

მართებული გამოთქმები იქნებოდა: სრულიად მწიფდება ნაყოფის რბილობი და თესლი; კერძებს ამზადებენ; გაიყიდება ბილეთები; გაიცემა კერძები; ხნავს ვაზის რიგთაშორისებს; გამოჰყავს სამ კოლმეურნეობას; აჯილდოებს უმაღლესი საბჭო; იღებენ თამბაქოს მოსავალს; იღებენ მარილს; აუცილებელია გამოვზიდოთ გამწვევი ძალით.

ტ ა რ დ ე ბ ა — ა ტ ა რ ე ბ ს

ჩვენი რესპუბლიკის მრავალ სკოლაში... ორგანიზებულად ტ ა რ დ ე ბ ა ზაფხულის პერიოდში მოსწავლეების მონაწილეობა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში („სკ. და ცხოვრ.“).

ჩატარდება ტყის მოვლა ერთჯერადზე გადაყვანით 4.317 ჰექტარზე („განთ.“ ვანი).

გასულ წელს 200 ჰექტარ ჩაის პლანტაციაში ჩატარდა ნიადაგის გაფხვიერება, სასუქის შეტანა („სოფლ. ცხოვრ.“).

გასულ წელს ჩატარდა პარტიული აპარატის მუშაობის გარდაქმნა („კომ.“)..

იგი ყოველთვის აგროვადებში ატარებს ვენახის დამუშავებას („ქობა. მაღ.“).

შეთვთრებას ატარებენ ზამთრის ამწვრების თავიდან აცილების მიზნით („სკ. და ცხოვრ.“).

გაზაფხულზე ბრიგადას ის ფარა გამოუძღვება წინ, რომელიც ორგანიზებულად ჩაატარებს... ბატკნის მიღება-შენარჩუნებას („სოფლ. ცხოვრ.“).

მცენარეთა დარგვა ტყის ზოლებში ადრე გაზაფხულზე ჩაატარეს („ხაქ. ბუნ.“).

200 ჰექტარზე ჩაატარეს ძირების გამოთოხნა („გამარჯვ. დრ.“).

რემონტს ჩავუტარებთ სადაბო საბჭოს აღმასკომის შენობას („განთ.“ ვანი)..

უნდა ყოფილიყო: მოსწავლეები ორგანიზებულად მონაწილეობენ სამუშაოებში; მოუვლიან ტყეს; გააფხვიერეს ნიადაგი, შეიტანეს სასუქი; გარდაქმნეს პარტიული აპარატის მუშაობა; აგროვადებში ამუშავენ ვენახს; ათეთრებენ ამწვრების თავიდან ასაცილებლად; ის ფარა გამოუძღვება წინ, რომელიც ორგანიზებულად მიიღებს და შეინარჩუნებს ბატკანს; მცენარეები დარგეს; გამოუთოხნეს ძირები; გავარემონტებთ აღმასკომის შენობას.

ხ დ ე ბ ა — ა ხ დ ე ნ ს

სოფელში არ ხდება კინო-სურათების ჩვენება („კომ.“).

მისი აღზრდა ხდებოდა პოეტებისა და მსახიობების წრეში („ხაქ. ქალი“).

თანდათანობით მოხდება გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებული განსხვავების წაშლა („სკ. და ცხოვრ.“).

ზოგიერთ ფართობზე მოსავლის აღება ხელით მოხდება („ახ. ცხოვრ.“).. ვიწყებ მოსწავლეთა საკონტროლო ნაწერების გასწორებას, გასწორებას ვახდენ ძირითადად ორი ზერხით („უე სკოლაში“).

ვღებულობთ საქმიან დადგენილებებს და ვახდენთ მისი შესრულების შემოწმებას („ქობა. მაღ.“).

მან მოახდინა მკვეთრი დამუხრუჭება და შეაჯახა მისი მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით მდგომ მანქანა „ზიმს“ („გამარჯვ.“).

ბევრმა კოლმეურნეობამ... დროულად მოახდინა არხებისა და პიდროტქნიკურ ნაგებობათა წესრიგში მოყვანა („ახ. ცხოვრ.“).

მოვახდინეთ კადრების სწორად შერჩევა და გადანაწილება (იქვე).

პირველი ჩანაწერის გამოყენება ადრეფეოდალური ხანის საქართველოს კულტურის ახსნისასაც შეიძლება მოვახდინოთ („ახგ სკოლაში“)..

შესიტყვებები წინადადებებში ასე უნდა გასწორდეს: არ უჩვენებენ კინო-სურათებს; ის იზრდებოდა პოეტებისა და მსახიობების წრეში; წაიშლება განსხვავება გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის; მოსავალს ხელით აიღებენ; ვასწორებ, ძირითადად, ორი ხერხით; ვამოწმებთ მის შესრულებას; მან დაამუხრუჭა; დროულად მოიყვანა წესრიგში; კადრები სწორად შევარჩიეთ და გადავანაწილეთ; პირველი ჩანაწერი საქართველოს კულტურის ახსნისასაც შეიძლება გამოვიყენოთ.

ხორციელდება — ახორციელებს

ავადმყოფის ბიოქიმიური გამოკვლევა ხორციელდება ოპერაციისათვის მზადების პერიოდში... („კომ.“).

საბჭოთა კავშირში პირველად განხორციელდა ათასობით სული სასუქი პირუტყვის დაუბმელი შენახვა („სოფლ. ცხოვრ.“).

გასული წლის აგვისტოში განხორციელდა რაიკომის აპარატის სტრუქტურის გარდაქმნა („კომ.“).

კოლმეურნეობაში სრულყოფილად განხორციელდა კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება (იქვე)...

ნარკოლოგიური სამსახური.. ახორციელებს ქრონიკულ ლოთთა მკურნალობას („ჭიათ. მდ.“).

მეურნეობა ტყის კულტურების ნარგავების მოვლას ყოველწლიურად 3000 ჰექტარზე ახორციელებს („საქ. ბუნ.“).

ამჟამად ბრიგადა წარმატებით ახორციელებს სავენტილაციო ჭაურის გაყვანას („კომ.“).

(გ. შუბითიძემ) მაღალხარისხოვნად განახორციელა ჩაის პლანტაციების რიგთაშორისების დამუშავება (იქვე).

ნანამ ჯერ პაიკის შეწირვა განახორციელა, შემდეგ ფიგურაც არ დაიშურა („საქ. ქალი“).

მოკლე დროში განვახორციელოთ სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების აღება („ახ. ცხოვრ.“)...

ბუნებრივი ქართული შესიტყვებები იქნებოდა: ავადმყოფს ბიოქიმიურად იკვლევენ; პირველად შეინახეს დაუბმელად ათასობით სული პირუტყვი; გარდაიქმნა რაიკომის აპარატის სტრუქტურა; სრულყოფილად აუნაზღაურეს შრომა; მკურნალობს ქრონიკულ ლოთებს; ნარგავებს ყოველწლიურად 3000 ჰექტარზე უვლის; გაჰყავს სავენტილაციო ჭაური; მაღალხარისხოვნად დამუშავა ჩაის პლანტაციების რიგთაშორისები; ნანამ ჯერ პაიკი შეწირა; სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებიც ავიღოთ.

ეწყობა — აწყობს

მოეწყო სავალი გზის ბილიკების მოფენა აგურის ფხვნილით („საქ. ბუნ.“).

1929 წლის ბოლოს პარტიამ კომკავშირის ამოცანად დაუსახა მოეწყოს მკვეთრი მობრუნება პირით წარმოებისაკენ... („სოფლ. ცხოვრ.“).

მოეწყოს პროფესორ-მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება („კომ.“).

იქ რამდენიმე ქალაქში უნდა მოწყობილიყო მათი (ნახატების) ჩვენება („საქ. ქალი“)...

არ ვაწყობთ პირუტყვის ინტენსიურ სუქებას („ბახტრ.“).

ბრიგადირებმა... სანიმუშოდ მოაწყეს ღორების მოვლა-შენახვა („სოფლ. ცხოვრ.“).

ტრაქტორების რემონტი კარგად მოაწყეს აგრეთვე ხაშურის, ქარელის და სხვა რაიონებმა (იქვე).

ორგანიზებულად... რომ მოეწყოს კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადება, საჭიროა... სამინისტროებმა... შეიმუშაონ საღირეკტივო წერილები („კომ.“).

მათ კოლმეურნეობის გამგეობას პირობა მისცეს, რომ თესვა მოაწყონ აგროვადებში („სოფლ. ცხოვრ.“).

საკვებმომპოვებლების მტკიცე გადაწყვეტილებაა, სანიმუშოდ მოაწყონ ნათესი საკვები კულტურების მოვლა („ახ. ცხოვრ.“)...

ფრაზები ასე უნდა გაიმართოს: ბილიკები მოფინეს აგურის ფხვნილით; ამოცანად დაუსახა მკვეთრად მობრუნებულყო წარმოებისაკენ; ამაღლდეს პროფესორ-მასწავლებელთა კვალიფიკაცია; აქ ნახატები უნდა ეჩვენებინათ; ინტენსიურად არ ვასუქებთ პირუტყვს; სანიმუშოდ მოუარეს ღორებს და შეინახეს ისინი; კარგად გაარემონტეს ტრაქტორები; ორგანიზებულად რომ დავდოთ ხელშეკრულებები; პირობა მისცეს, რომ დათესონ აგროვადებში; სანიმუშოდ მოუარონ ნათეს საკვებ კულტურებს.

მიმდინარეობს

მთავარი მეტოქეობა კვლავ „სპარტაკსა“ და... თბილისის „დინამოს“ გუნდებს შორის მიმდინარეობს („კომ.“).

ტალინის აკადემიურ დრამატულ თეატრში მეორე წელიწადია მიმდინარეობს ჩხაიძის პიესის „ხილის“ ჩვენება („თბილ.“).

მიმდინარეობს სკოლის გარემოს გამშენიერება („კომ. ვანთ.“).

მდინარე ყვირილაში ქვირითის დაყრა მიმდინარეობს როგორც ადგილობრივ, ისე შემოსულ თევზთაგან („ახ. ცხოვრ.“).

პირუტყვის მოვლა-პატრონობა კარგად მიმდინარეობს სოფელ უშაფათის... კოლმეურნეობაშიც („სოფლ. ცხოვრ.“).

ზოგიერთი ამტკიცებს, რომ ლამაზი სუფრა და ატმოსფერო, რომელშიც სადილობა მიმდინარეობს, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე კერძების კალორიუბი და ხარისხი (იქვე).

მიმდინარეობს ყვავილების რგვა („კომ.“).

მიმდინარეობს მწვანე ზონის გენერალური გეგმის შედგენა („საქ. ბუნ.“).

სავაზაფხულო სამუშაოებისათვის მეურნეობაში გაცხოველებული მზადება მიმდინარეობს („სოფლ. ცხოვრ.“).

დღეს აქ მიმდინარეობს სახსრების შეგროვება აფრიკის ქვეყნების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დახმარების ფონდისათვის („თბილ.“)...

ჩამოთვლილი სიტყვათშეხამებანი უნდა შეიცვალოს ასე: მთავარი მეტოქეები კვლავ ლენინგრადის „სპარტაკი“ და თბილისის „დინამო“ არიან; თეატრში მეორე წელიწადია უჩვენებენ ჩხაიძის პიესა „ხილს“; ამშვენებენ სკოლის გარემოს; ყვირილაში ქვირითს ყრიან; პირუტყვს კარგად უვლიან და პატრონობენ; ატმოსფერო, რომელშიც სადილობენ, უფრო მნიშვნელოვანია; რგავენ ყვავილებს; ადგენენ მწვანე ზონის გენერალურ გეგმას; სავაზაფხულო სამუშაოებისათვის გაცხოველებით ემზადებიან; აგროვებენ სახსრებს დახმარების ფონდისათვის.

ეწევა

ბეკენბაურმა... „სოლიდური“ წინადადება მიიღო... „კოსმოსის“ კლუბისაგან, რომელიც მთელი მსოფლიოს ფეხბურთის ვარსკვლავების შესყიდვას ეწევა („კომ.“).

ზოგიერთი ქალები იქამდე მივიდნენ, რომ ყოველდღიურად იკრიბებიან, ეწევიან ღვინის გადაჭარბებულ სმას („ჭიათ. მად.“).

16—17 საათის განმავლობაში ვეწეოდით აუტანელ შრომას და ტანჯვას („კომ.“).

(გ. ქარსელაძე) თავის მხრივ ეწეოდა მორფის გაყიდვას (იქვე).

ძველ დროში მსოფლიოს ხალხები ეწეოდნენ შეგროვებას და ნადირობას (ფიზ. გეოგრ.).

ექვი იმაზეც გამოითქვა, შეიძლება ერთმანეთთან აზარტულ თამაშსაც ეწეოდნენ („კომ.“).

საჭიროა... ვეწეოდეთ... მუშაობის მოწინავე მეთოდების ათვისებას (იქვე)..

ქართულისათვის ჩვეულებრივი გამოთქმებია: რომელიც მთელი მსოფლიოს ფეხბურთის ვარსკვლავებს ყიდულობს; ქალები... გადაჭარბებულად სვამენ ღვინოს; აუტანლად ვშრომობდით და ვიტანჯებოდით; ქარსელაძე ყიდდა მორფს; მსოფლიოს ხალხები აგროვებდნენ და ნადირობდნენ; შეიძლება აზარტულ თამაშსაც თამაშობდნენო; საჭიროა ვითვისებდეთ მუშაობის მოწინავე მეთოდებს.

გარდა აღნიშნულისა, არც თუ იშვიათად, მსგავს უმართებულო შესიტყვებებს ქმნის არა ერთი და ორი სხვა ზმნაც. მოვიყვანთ ამის მაგალითებსაც:

როცა წარმოება მომგებიანია, ადგილი აქვს შრომის ნაყოფიერების ზრდას („ივრ. განთ.“).

წალკის რაიონში... გაიზარდა დანაშაულობათა... შემთხვევები. ეს იმ დროს, როცა მთლიანად რესპუბლიკაში ადგილი აქვს კლებას („საქ. კომ.“).

დადგენილია, რომ ზოგიერთ სატყეო მეურნეობაში... ადგილი აქვს კულტურების დაღუპვას („საქ. ბუნ.“).

ადგილი აქვს წესების დარღვევას („ლიტ. საქ.“).

ადგილი აქვს მანქანების მოცდენას (იქვე).

ცხადია, მართლაც, ადგილი ექნება ხარისხის დაცემას („სოფლ. ცხოვრ.“).

1974 წელს... სასამართლომ განიხილა სულ 8 პიროვნების საქმე, რომელთა მხრივ გასაჩივრებას ადგილი არ ჰქონია („საქ. კომ.“).

ვერ უზრუნველყო მანქანის სწორი მიმართულებით წაყვანა („ჭიათ. მად.“).

ვერ უზრუნველყო თავის მართვის ქვეშე მყოფი ავტომანქანის გაჩერება („გამარჯვ.“).

სამმართველო აფრთხილებს ყველა აბონენტს... 10 დღის განმავლობაში უზრუნველყოთ აღნიშნული დავალიანების დაფარვა („თბილ.“).

მოსახლეობამ საკუთარი სახსრებით უზრუნველყო... საჭირო მასალების შეძენა („ჭიათ. მად.“)...

მხველ-მთესველებს გადაწყვეტილი აქვთ... მიადწიონ სიმინდისა და სხვა კულტურების მაღალი მოსავლის მიღებას („ახ. ცხოვრ.“).

სისტემატური მოვლით მივადწიოთ ნარგავების მთლიან გახარებას და მათ შენარჩუნებას („საქ. ბუნ.“)...

ღებულება შესაბამისი საკავშირო ტურნირის ღებულებიდან ერთგვარ გადახვევას აკეთებდა („ლელო“).

ჩვენს რესპუბლიკაში ამ სამი წლის წინათ არ არსებობდა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ორგანიზებული წესით სუქება („კომ.“).

ჩაის პლანტაციების საზამთრო დამუშავება მაღალხარისხიანად შეასრულეს... სოფელ ხორშის... და ნოქალაქევის კოლმეურნეობებმა („სოფლ. ცხოვრ.“).

უნდა ავითვისოთ 3 ახალი სახის პროდუქციის გამოშვება („განთ. ვანი“).

გემის შესრულებას დააკლეს ისეთმა ორგანიზაციებმა, როგორცაა საკონსერვო ქარხანა, საკონდიტრო საამქრო და სხვა (იქვე).

იმპერიალისტები ცდილობენ... ჩახშონ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და ფართოდ მიმართავენ რასიზმის გაღვივებას („ჭიათ. მად.“).

თავიანთი ისტორიული ვალი მათ მოიხადეს: გააღვივეს გამოფხიზლება მოსახლეობის ფართო ფენებში („ცისარტყ.“).

საჭიროა... კიდევ უფრო გაფართოვდეს კინომოყვარულთა ჩაბმალაბორატორიის პრაქტიკულ საქმიანობაში („თბილ.“)...

ყველგან უხეირო მყარი სახელურ-ზმნური შესიტყვებები უნდა შეიცვალოს ბუნებრივი ქართული გამოთქმებით: იზრდება შრომის ნაყოფიერება; მთლიანად რესპუბლიკაში იკლო; ზოგიერთ სატყეო მეურნეობაში იღუპება კულტურები; ირღვევა წესები; ცდება მანქანები;

ცხადია, დაეცემა ხარისხი; რომელიც არ გაუსაჩივრებიათ; მანქანა ვერ წაიყვანა სწორი მიმართულებით; ვერ გააჩერა ავტომანქანა; აფრთხილებს, დაფარონ დავალიანება; მოსახლეობამ საკუთარი სახსრებით შეიძინა საჭირო მასალა; გადაწყვეტილი აქვთ, მიიღონ მაღალი მოსავალი; მთლიანად გავახაროთ და შევინარჩუნოთ ნარგავები; დებულება საკავშირო ტურნირის დებულებიდან ერთგვარად უხვევდა; ამ სამი წლის წინათ ორგანიზებულად არ ასუქებდნენ პირუტყვს; ჩაის პლანტაციები საზამთროდ მაღალხარისხოვნად დაამუშავეს; უნდა გამოვუშვათ 3 ახალი სახის პროდუქცია; გეგმა ვერ (არ) შეასრულეს ისეთმა ორგანიზაციებმა...; იმპერიალისტები ფართოდ აღვივებენ რასიზმს; გამოაფხიზლეს მოსახლეობის ფართო ფენები; საჭიროა უფრო ფართოდ ჩავაბათ კინომოყვარულები ლაბორატორიის პრაქტიკულ საქმიანობაში.

მაშასადამე, ფრაზათა ენობრივი გამართვის შედეგად ყველგან მყარი შესიტყვებებიდან, რომლებიც წინადადებაში შემასმენლის როლს ასრულებდნენ, ამოვარდა ზმნა, ხოლო საწყისიდან ვაწარმოვეთ ამავე ძირის შესაბამისი ზმნა, რომელსაც ძირითადი ზმნური კატეგორიები შესიტყვების ზმნისა დარჩა, ხოლო ხშირ შემთხვევაში პირმიუმაართავი დამატება იქცა პირმიმართ დამატებად.

ამგვარად, ზემოთ მოყვანილი მყარი სახელურ-ზმნური შესიტყვებები, მიუხედავად იმისა, რომ მათში ვადმოცემული აზრი გასაგებია და გრამატიკული დარღვევები არა გვაქვს, მაინც ვერ ჩაითვლება მართებულად სტილისტიკური შეუსაბამობის გამო.

ფრაზეოლოგიური და მყარი გამონათქვამების გამოყენება გამომხატველსა და ემოციურს ხდის, მოქნილობას მატებს ენას, მაგრამ ამგვარ გამონათქვამებს განსაკუთრებული სიფრთხილით სჭირდება მოპყრობა.